



შინაური საკანონმდებლო

ფასი ერთი შაური
 ქუდაურა ფასი სამა მან.
 წელიწადი მეოთხე.

სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის

კვირა, 23 ოქტომბერი 1911 წელი

სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის

შინაური საკანონმდებლო

თავი—კახეთის უბანში № 17). და თბილისში კანონმდებლობის
 ხის პარტი, სომხანდის უმრავლესობის განცხადებით თუ შინაური
 ნომერი, ბმ. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გავითხროთ დასი მუდმივი წლის
 ერთად გამოგზავნიან.

წაღებული ფასი: 3 მანეთი. | | 2 მანეთი. | | 2 მანეთი. | | 2 მანეთი. | | 2 მანეთი.
 ადრესი: ქუთაისი: „შანაურა საქმეებს“ რედაქცია.

შინაური: 1) ქრისტიანობა და სერეთაშორისო შვიდობა
 ანობა—ათი-ზ სს; 2) კრიტიკული ბიბლიოგრაფია—ხომ-
 ლელისა; 3) მამა ოლიმპი (თარგმანი)—მლ. სერგი მაჭარა-
 შვილისა; 4) უკანასკნელი პასუხი ბ. აფანიუხსა—მლ. ი.
 ნიკოლაძისა; 5) ღია წერილი მ. ი. ნიკოლაძეს; — „ფანი-
 უხისა“; 6) წაღმა-უკუღმა—კირილე წუთისოფლიისა;
 7) თრიოდ სიტყვა სამღვდლოების შესახებ—ტყეშელა-
 ვისა; 8, წერილი რედაქციის მიმართ—არბ. ნესტორ
 ყუბანევიშვილისა.

ქრისტიანობა და სერეთაშორისო შვი-
 დობიანობა.
 (დასასრული *).

იმისთან შედარებით თუ რაც იცოდნენ
 ძველად, ცხოვრების შესახებ, მთელი არსება
 ქრისტეს შესრულებული საქმისა, მდგო-
 მარეობს, თვით უკაცის არსების გარდაქმ-
 ნაში, ახალ ქვეყნობის და ახალ კაცის და-
 ნიშნულების გამოცხადებაში. (იგი გვასწავლის
 თვითეულ კაცის ცხოვრებას და არსების გარ-
 დაქმნას და აქედან თავის თავად გამომდინა-
 რეობს ურთიერთ შორის დამოკიდებულობა).
 ამისთვისაც სახარება არსად არ აქცევს
 ყურადღებას იმ შედეგებს, რომელნიც გამო-
 მდინარეობენ ქრისტეს სწავლიდან, შესახებ
 აღმდინათ საზოგადოებრივ დამოკიდებულო-
 ბისა; იგი არსად პირდაპირ არ უკრძალავს ადა-
 მინას ომს, მაგრამ ეს იმის არ ნიშნავს, რომ

*) იხ. „შინ. საქ.“ № 31.

ომი ქრისტესაგან ნება დართულა, ვინაიდგან იგი გვიკრძალავს არამც თუ ომს, არამედ თითოეულ კაცის კვლას და თვით იმ გულის თქმასაც კი საიდგანაც ჩნდება კაცის კვლაც; *თქვენ გვსმა, რამეთუ იქვე პირველთა მათ მიმართ: არა კაც კვლავ; ხოლო რომელმან მოკლას თანამდებ არს სასჯელისა. ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმისა თვისსა ცულად, თანამდებ არს სასჯელისა.. გვსმა, რამეთუ თქმულ არს: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეტყვი თქვენ არა წინააღმდეგობად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყვინძილი შენსა მარჯვენესა, მოუხარ მას ერთ კერძოცა. გვსმა რამეთუ თქმულ არს: შეიყვარო მოყვასი შენი, და მოიძულო მტერი შენი, ხოლო მე გეტყვი თქვენ: გიყვარდეთ მტერი თქვენი და აკურთხევდით მწყევრთა თქვენთა* (მათე 5 თავი). ყოველი, რომელი ვინდეს თქვენ, რათა გიყონ კაცთა, გვერთცა თქვენ ჰყავთ მათა მიმართ* (მათე 6 თავი).

ამ გვარად ნამდვილ ქრისტიანთათვის, რომელნიც ყოველ კაცში ხედევენ თვის ღვიძლქმს და თვით მტერიც ქვეშაირტად მოვლის მისგან პატიობს, ყოველი მკვლელობა და მით უმეტეს ურიცხვთა ელღებთა და ხოცვა, ფსიხოლოგიურად შეუძლებელია.

ქრისტემ კაცობრიობის ინტერესი გაიტანა სულ სხვა სფეროში: *ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმაართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეჭინოს თქვენ.* (მათე 6 33) ხოლო სასუფეველოდებისა, მოციქულის აღნიშნამებრ, არის სიხარული და მშვიდობა სულისა მიერ წმიდისა, ესე იგი სიკეთე, რომელიც უარჰყოფს ყოველივე მიწიურ ინტერესებს, რაიცა ბადებს ერთა შორის მტრობა-სიძულვილს.

ქრისტიანობამ კაცი დააყენა ყოველივე ნაციონალურ, წოდებრივ და სხვა შემსლულად კედელზედ და თვით სახელმწიფოზედაც მალა.

პირველ დროებში, ქრისტიანობა მართლაც გამოცხადდა საერთაშორისო მშვიდობიან

ობის დამამყარებელ ძალად, რომლის ფარგალში არავითარ ნაციონალურ და წოდებრივ უპირატესობას აღვიღო არ ჰქონდა *ქრისტეს ეკლესიაში, სწერდა მოციქული, არა არს წარმართ, და ურია, წინადაცვითლება და წინადაუცვთებლება, ბარბაროს სკვითელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოველად ყოველთა შინა ქრისტე* (კოლას 3, 11).

ლიონის მოწამენი სანკტი და მისი აზხანაგი, მსაჯულის კითხვებზედ „ვინ აწიან ისინი“ უგებდნენ „ჩვენ ვართ ქრისტიანები“ ამ სიტყვებით მათ გამოსთქვეს თავის ნამდვილი შეხედულება ქრისტიანობრივ სწავლაზედ.

წინააღმდეგ სტოიციზმის და ბუდიზმისა, ქრისტიანობას არ შეეძლო საქმიანად არ დაემტკიცებია ის, რასაც სიტყვით აღიარებდა. *სარწმუნოება, უკეთეს არა აქვდნენ საქმენი, მკვლარ არს. (იაკ. II 17), ამისთვისაც პირველ ქრისტიანებს არ შეეძლოთ საქმიანად არ დაემოწმებიათ მათი უფარყოფა ომიანობისა.

ქრისტიანების ფილოსოფოსი ტატიანე მეორე სიუკუნეში, ომს ამსგავსებდა უბრალოთ კაცის მკვლელობას და საპატიო სახეიდრო გვირგვინს სთვლიდა ჯილდოთ, რომლის ტარება ქრისტიანთათვის შეუძლებელი არის.

აპოლოგეტი ათინაგორი სწერს, რომ ათინაში ქრისტიანები არამც თუ კაცს ჰკლავდნენ, არამედ გაურბოდნენ მკვლელობის მოწმედ გახდომასაც.

ორიგენი, სთვლიდა რა ისიას ნაწინასწარმეტყველებას აღსრულებულად, ამბობს: *ჩვენ არ აღვიღებთ მახვილსა არავითარ ხალხის წინააღმდეგ, ჩვენ არ ვსწავლობთ ომიანობას, ვინაიდგან იესო ქრისტეს მიერ ჩვენ შევიქმენით შევილად მშვიდობის.

უგებს რა პასუხს ცელსს, მის ბრალდებაზედ, ვითომც ქრისტიანები გაურბიან რა სამხედრო სამსახურს, ამით სახელმწიფოს ვნებას აძლევნო, ორიგენი ამბობს: *ჩვენ ყველაზედ მეტს ვომობთ იმპერატორისათვის, ჩვენის ლოცვით და ქველმოქმედობით, თუმც ქრისტიანებთ ძალაც რომ დაატანონ, მიინც არ წივდნენ ომში“..ო.

— „განა შეიძლება მახვილით იომოს, აღტაცებით შესძახის ტერტულიანი, მაშინ, როდესაც უფალი ბძანებს „რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითვე წარწყმდეს?“ და ან კი რა ნაირად მიიღებს ომში მონაწილეობას შეილი მშვიდობისა.

წმიდა კირიანე კართაგენელი მესამე საუკუნეში სასტიკ უარყოფით იხსენიებს ომს: „უტკუოთ ოქცევა ქვეყნიერება ერთმანეთის სისხლის ღვრაში და თვითეული მკვლელობა, რომელიც ითვლება დანაშაულობათ, ხდება სათნოებათ, ათასობით მკვლელობის ღროს, დანაშაუენი ჰპოებენ დაუსჯულობას მხეცურ დანაშაულობის გამრავლებით.“ მართალია პირველ საუკუნოებში იპოებოდნენ ქრისტიანები რომელნიც მსახურებდნენ ჯარში, მაგრამ ეკლესია მათ მიჩერებოდა, როგორც სიწმინდის დამარღვეველ და ამისთვისაც კანონები ეგვიპტის ეკლესიისა და ეგრეთ წოდებულთა ანდრეძი მეუფისა ჩვენისა ი. ქრისტესი, უკრძალავენ ჯარში სამსახურს, როგორც მოაწმუნეთ, ისე კათაქმევლთ. პირველმა მსოფლიო კრებამ თვის დადგენილების მე 12-ე მუხლში იმ პირთ, რომელნიც ჯარში სამსახურს თავი დაანებეს და ქრისტიანობა მიიღეს და ესლა ხელახლა შევიდენ სამხედრო სამსახურში, აღებს ეპიტიმას „მადლითა მოწოდებულთა, აღსარებისადმი სარწმუნოებისა და რომელთა აღფრთოვანება გამოაცხადეს და უკუაღდეს სამხედრო სარტყელი და მერმე ვითარცა ლეკვნი თვისა ბაგასა დაბრუნებულნი დავარდნენ წინაშე ეკლესიისა ათ წელს ითხოვდნენ მოტევენასა და სამს წელს ისმენდნენ საძლთოსა წუარილსა ბქეთავან ეკლესიისა, მხედართ, რომელთაც ომში კაცი შეაკვებოდა, ვასილი დიდი უკრძალავს სამს წელს ზიარებას.

ასე ამ გვარად ქრისტიანობამ ნამდვილ მოგვცა საფუძველი, რომელზედაც ადვილად აღმოცენდება საერთაშორისო მშვიდობიანობა როგორც ეს დაამტკიცა პირველ საუკუნოების ქრისტიანებმა.

მართალია დღეს ჩვენ ძველებურად აღარ ვუყურებთ ომს, რომ იგი მიგვაჩნდეს აუცი-

ლებელ ბოროტებათ, მაგრამ აცილებასაც უნდა და შეგნება ქრისტეს ნაანდერძვე მოძღვრებისა.

ათ—ზ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

თსუელგანა არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეორე. ჩვენი სსხოჯადოებრივობა. ფსი 80 კ.

I.

ამ უკანასკნელ ღროს განმავლობაში ერთი ნიჭიერი და სიმპატიური მწერალი შეეძინა ჩვენს ახალს ლიტერატურას, რომლის მოედანი კი ხანია უიმედოდ იყო დაცალიერებული. მე მოგახსენებთ პუბლიცისტის არჩილ ჯორჯაძის შესახებ, რომელმაც ჩვენს მწერლობაში თავი იჩინა, ავტორ, ათი წელიწადია მას შემდეგ და საპატიო ყურადღებაც მიიქცია თვისი ნაწერებით, რომელნიც ოთხ ცალკე წიგნადაც დაისტამბა დღეს.

სამწუხაროდ, პირველი წიგნი ამ პუბლიცისტისა, რომელიც ეროვნულ პრობლემას უტრიალებს გარშემო, ხელთ არა მამქვს ამ თამად და ვერაფერსაც ვიტყვი მის შესახებ. რაც შეეხება მეორე წიგნს, იგი ფრიალ საინტერესო საგანზეა დაწერილი, რომელშიაც ავტორს ჩაუქსოვებია თვისი სამშობლოს ღრმად მოსიყვარულე გული, სინდისიერის დაკვირვებით გაუზომ-აუწონია ყოველივე ის, რასაც ხელს კიდებს და გულის დამშვიდებით, დინჯად და ნათლად მოუთხრობს მკითხველს ფრიალ საინტერესო მომენტებს ჩვენი ახალი ლიტერატურისა და პუბლიცისტისას.

არჩილ ჯორჯაძის მეორე წიგნის საგანია ქართველთა საზოგადოებრივი აზროვნობის ისტორია და ამისთვის იგი შეეხება ჩვენს ახალს ლიტერატურის ზოგიერთ მომენტების გათვალისწინებას და, შეძლების დაგვარად, მის დაფასებასაც. დიდი ყურადღების ღირსია ავტორის ეს ნაშრომი იმიტომაც, რომ ქართველ

მეთხველის ცოცხლის ერთ გონების თვალის წინ უშლის სამშობლო ქვეყნის უანგრო მოღვაწეთა სურათს და ამით უღვიძებს და უხვევლებს მის გულში ლიტერატურის დიდს სიყვარულს. ჩვენი ინტელიგენცია, სტუდენტობა და მთლად ასაკში და ცნობაში მისული მოზარდი მოსწავლე ახლგაზღობა დიიტატებენ ასეთს წიგნს და დიდ ესთეტიურს სიამოვნებასაც განიცდიან მის წაკითხვით. და მეც ვაღიღებელი ვარ მეტი სიმპატიით მოგვპყრო ასეთს საინფერო მწერალს.

ამ მეორე წიგნში ავტორს პირველ ფურცლებზედვე მოუქცევია თვისი საინტერესო სტატია:

„მოთხმოციანი“ და „მოთხმოცდათინანი“; სადაც იგი საუბრობს „ტეტიათა მოტრფილითა“ ჯგუფზე და იმ სოციალ-პოლიტიკურ ძირობებზე, როცა მარქსიზმმა იჩინა თავი ჩვენს ცხოვრებაში. მხოლოდ მე გამაკვირვა ჩვენი ლიტერატურას ისტორიის ფილოსოფოსმა, რომელსაც, რაც უნდა იყოს, უბრალო მეფე-ლეტანზე მეტი მოთხოვება, რომ იგი არა ხმარობს ქართულ ლიტერატურაში ჩემ შამოტანის სახელწოდებას, რომელიც უკვე კაი ხანია მიღებულია ლიტერატურაში და ჟურნალ „იმედის“ ჯგუფს „ნაროდნიკულს“ უწოდებს, იმიტომ, ალბად, რომ ეს რუსული ხიტყვაა და რუსული ხომ უფრო „პაჩორტია“ დღეს ჩვენი, ვიდრე ქართული. „კოლხიდაში“ ამასწინათ ისტატებოდა. ნიკო თავდგირიძის სტატია: „ჩვენი ახალთაობის უკუღმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები“, სადაც იმასაც ნათქვამი აქვს, რომ „ტეტიათა მოტრფილითა“ უფრო მახელიად ხატავს ჩვენებურად რუსულ „ნაროდნიკობას“, ვიდრე უცხო სიტყვა. „На-родничество“ იყო მთელი მოძღვრება, საფუძველი, რომელზედაც აფშენებიათ სხვადასხვა მოწინავე დასთა ჯგუფების სიტემები, რომელნიც რუსეთის ისტორიაში სრულიად განსხვავებულს, არა ევროპულს, გზას ნედავდენ რუსეთის „ზაპადნიკებიც“ იტყვებენაროდნიკება“ იყვენ, მხოლოდ ევროპის პოლიტიკური წეს-წყობილების მოტრფილითა, შემხარებელ-

ნი. ამ საფუძველზე აშენდა რუსეთში ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, ლირიკა, ბელეტრისტიკა, კრიტიკა, ფილოსოფია და, ასე გავანჯეთ, სოციოლოგიაც... წინდა რუსული სოციოლოგია, რომელიც, აქვე ვიტყვი, ერას უშველვებელ სასაცილო რასმე წარზაადგენდა... აბა, ახლა ამას უნდა ამოუყენონ გვერდში ჩვენეური „ტეტიათა მოტრფილითა“! ბატონი არჩილიც სწორედ ასე იტყვევა.

დღეს მიინც ისეთ ხანაში ვართ, რომ ჩვენი თავის გაცნობა, ჩვენი კულტურულ ვინაობის გარკვევა ფრიად საჭიროა, რომ ჩავუკვირდეთ ჩვენს ღრმა, დიად შეცდომებს, ჩვენს ქარაფშუტულ ცხოვრებას, რომელშიც დავლეთ დღენი ჩვენი, ჩვენს დაცმას და დაბეჩავებას. მაგრამ ჩვენი ლიტერატურის და ინტელეგენციის მიმართულებათა კლასიფიკაციის პრინციპს გზაკვლი აუფრია ავტორისათვის.

ბ. არჩილ ჯორჯაძეს უყვირს, რომ მკვლევარი და პუბლიცისტი ჩვენებურ დასთა გაჩენას იწყებენ გასული საუკუნის სამოციან წლებიდან. მაშ, ნეტავი, საიდან უნდა დაიწყონ? დასთა გაჩენა ჩვენშიც გამოიწვია ცხოვრების ძირითადმა რეფორმამ — ყმების გათავისუფლებამ, ამან აამღლევარა მთელი ჩვენი ცხოვრება, აალორძინა ქართული ლიტერატურაც, აღძათასა საჭირო ბოროტ-საკითხები და საქმეები და, აი ნიადაგი, სადაც და რომლის გარშემოც უნდა გაჩენილიყო სხვადასხვა დასებიც. საქართველოში დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება და ეს ახალი ცხოვრება მოითხოვდა ახალს წარმომადგენლებს შრომისასაც და ახალი აღებ-მიცემობისასაც და, აი, ამ ორს ისტორიულ ფაქტორის ვითარების თანახმად, უნდა გარკვეულიყო საზოგადო ხელ-სამმღღენლო აზრები, დასთა საზოგადო მოღვაწეობა მწერლობა და სოცოვებაში.

„კვალის“ ჯგუფს განსვენებულმა გიორგი წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა და, აი, ამან მიინც ძალიან არივ-ღარია საქმე.

პირველად გიორგი წერეთლის სტატია რომ დაისტამბა, მეც გავკვირდი. იგი იმ ხანებ-

ში თფილისიდან ქუთაისს ეწვია და მე ვინახულე გიორგი სასტუმრო „Съверный номера“ში, სადაც იყო ბინად ჩამოხმტარი. მე განუცხადე ჩემი გაკვირვება და ვუთხარი მის, რომ ჩვენი, ე. ი. «კვალის» ჯგუფი, თუ მაინცა და შინაც, მეოთხე დასად უნდა მოიხსენიოს კაცმა, რადგან პირველი და ილია ჯავახიძეა—საქართველოს მოაზის* ჯგუფი, მეორე დასა—ნიკოლოზ ნიკოლაძის და შენა—, კრებულად—ოების* ჯგუფი, მესამე—80-იანი წლებების „ტექნიკა მოტრფილენი“ და მეოთხე დასა „კვალის“ ჯგუფი-მეთქი.

— არაო, მითხრა გიორგიმ. მე ლიტერატურის ისტორიისთან საქმე არა მაქვსო. მე სახეში მყავს დღენადღელი დასებო: ჩვენი დროის „ივერია“ წმინდა თავად-აზნაურობის (!) დასაო, არის კიდევ ახლა გოგებაშვილის (თუმცა იმ დროს იმათი ორგანო მან ვერ დაასახელა) გლეხების მდივანთბელი, შენი „ტექნიკა მოტრფილენი“ მეორე დასაო და მესამე დასი ჩვენ ვართ—, კვალულებიო*. მე გვეჩუმიდი, სიტყვა აღარ მითქვამს იმისთვის. ამ ლაპარაკის დროს ჩვენთან იყო „კვალის“ თანამშრომელი ბ. ყაზიბი, რომელიც იმედიო, დამიმოწმებს ამ სიტყვებს, თუ ახსოვს.

ამის შემდეგ, არ გასულა ბევრი ხანი, როდესაც გიორგი წერეთელმა „კვალში“ დასტამბა ხელმოუწერელი სტატია, ჰქონია 1895 წ., საკა ამტკიცებს, რომ ილია ჯავახიძე „საქართველოს მოაზის“ ხანაში იყო გუმანიზმის მქადაგებელიო და „დროება-კრებულის“ ახალი სოციალ-დემოკრატიული მიმართულება იყო პროგრესული, განსხვავებული ფრაქციოაო. აი, ეს სტატია ვადუთარგმნია თავიდან ბოლომდე ბატ. აღექსანდრე ხახანაშვილს თავის ფრიად საყურადღებო ნაშრომში*) და

*) იხ. А. Хахановъ, — Очерки по Исторіи Грузинскіи словесности. ამ ნაშრომში ჩემი კრიტიკული სტატიები ბევრგან აქვს ნაჩვენები პროფესორს აღექსანდრე ხახანაშვილს და ერთ აღაჯას მისაყვედურებს, თუ უფრო მისწორებს, რამ იოსებ დავითაშვილს „ქობის და ერთობის“ პოეტი უწოდა ხომალდმაო. ეს მე კი არ მიწოდებია ასე. ამ სახელწოდებით მონათ-

წყაროს ჩვენება დავიწყებოა, რაც ყოველთვის შესაძლებელია ამგვარ მუშაობის დროს. აი ამას აუბნევია ბატ. არჩილ ჯორჯაძეც და ამბობს: „ასე რომ, ბ. ხახანაშვილის ანგარიშით პირველ და მეორე დასს მესამოცე (უნდა იყოს—სამოციანი) წლის მოღვაწენი შეადგენდენ, ხოლო მესამე დასს კი „კვალის“ ჯგუფიო“. ამ ჩემი შენიშვნის შემდეგ, იმედიო, გასაგები იქნება ბ. არჩილ ჯორჯაძისთვისაც და მკითხველისთვისაც, თუ საიდან მომდინარეობს ბატ. ალ. ხახანაშვილის წაგნის ძველი თაობის ორ დასად გაყოფა და რომელი დრო ქონდა სახეში გ. წერეთელს, „კვალის“ ჯგუფს „მესამე დასი“ რომ უწოდა (სახეუთონია ეს სახელწოდება. თუ უსახეუთო, ეს სხვა საქმეა).

თუმცა გ. წერეთლის სტატიის ადრე „კვალის“ დაარსებისთანავე 1893 წ. აპრილში ჩემ კრიტიკულ სტატიებში: „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“, რომელსაც გაკვირთ ასახელებს ბ. არჩილ ჯორჯაძეც ვწერდი შემდეგს: „ქართველ ლიბერალებს (სამოციან წლების მოღვაწეებს ვუწოდებ ლიბერალები) საზოგადო აზრების განხილვის დროს არ არის მისაღები მართა ნ. ნიკოლაძის შეხედულება საზოგადო ეკონომიური ვითარების შესახებ. ქართველთა ლიბერალების აზრის წინააღმდეგია, თუ არა ვცდები, იმის აზრი ამ საგანზე. ის ნამდვილს მოქალაქეთა, მრეწველთა ინტერესების დაცვას უფრო ემსახურებოდა და ეს არის, ჩემი აზრით, უმთავრესი მუხლი, რომელზედაც დასისა ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ კამათობა ჩვენებურ და რუსეთის ლიბერალთა შორის, როგორც მაგალიათად ნ. შელგუნოვისა. ჩვენ იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნდა ნ. ნიკოლაძის აზრი ამ საგანზე, რომ განზრახვა გვაქვს განსაკუთრებული წერილი ვუძღვნათ

ლა იოსებ დავითაშვილი ილია ჯავახიძემ და მე დაცინვით დავარქვი დავითაშვილზე დაწერილს ჩემ კრიტიკულ სტატიას სათაური „ქმობის და ერთობის პოეტი“, რომელიც ბრატულბუცი ჩასმული მაქვს, ასე რომ; აქ უნებური შეცდომა მოსვლია პროფესორს აქართველი ლიტერატურული შრომის დროს.

მის მოღვაწეობას და იმ აზრსაც მაშინ გავარკვევთ“.

ნიკოლოზ ნიკოლაძემ ჟურნალ „მომამეში“ 1894 წ. თუ 1895 წ., ხლა კარგად არ მახსოვს, დასტამბა თვისი დიდად საყურადღებო სტატია, სადაც ეხებოდა ჩვენში ვაჭართა და მრეწველთა კლასის გაჩენის და აღორძინების დიდ საქმიროვას და მეც ამ სტატიაში აღმიძრა სურვილი გამომეთქვა ჩემი შეხედულობა ნიკოლოზ ნიკოლაძეზე „კვალის“ ფურცლებზე.

ახლა არჩიდ ჯორჯაძესაც აქვს ამ მეორე წიგნში ცალკე სტატია ნ. ნიკოლაძეზე, რომელზედაც ამ ჩემი სტატიის დასასრულს გამოვთქვამ კიდევ ჩემს შენიშვნებს. აქ კი დავუბრუნდები მის პირველ სტატიას.

ამგვარად, თუ დავაღვებით ისტორიულ გზას, იგი მიუცილებლად, მაგვიყვანს იმ დასკვნამდის, რომ მესამე დას უნდა ვუწოდოთ მეოთხე დასი და ამ საქმეში არეცადარევის უნდა ბოლოც მოელოს აწი მაინც.

ხომელლი.

შემდეგი იქნება

მამა ოლიმპი. *)

მ ო ტ ხ რ ბ ა .

I.

შემოდგომის ცივი დილაა. ცა ღრუბლებითაა დაფარული; ძლიერი ქარი თავის ღრიალითა და ზუზუნით გულის სწყლავს, დრო გამოშვებით ჩერდება, თითქო დაწყნარება სურსო, მაგრამ ქარა ისევ ძალა მარკებილი, გაორკეცებული მძინვარებით იწყებს ხეების რხევას და მაღლა ჰაერში მოაქანებს გაყვირლებულსა და გამხმარს ფოთლებს.

ერთს სოფლის სასაფლაოზე, ორი საფლავის მახლობლად, დაფარულთ თეთრი მარმარილოს ფიკრებით, სდგას თავჩაღუნული ქა-

ღარა თმა-წვერით მოსილი მოძღვარი. ქარი აფრიალებს მის ანაფორას, შიშველს თავზე ხევებს მას, მაგრამ მისთვის, როგორც მწარე ფიკრებით მოკლლისათვის, ყოველივე ეს შეუმჩნეველი ხდება. რაა მისთვის უამინდობა! სული მისი ისეა დაღონებული და შეწუხებული, რომ იგი რაღაც შევებასაც კი ჰკარძნობს, როცა თვისი დაუძღურებული სხელი გნრისხებული ქარისათვის მიუშვებია. ზაფხულში, როდესაც მზე ბრწყინვალედ ანათებდა, მინდღერეი აფერადებული იყვნენ სხვა-და-სხვა ყვავილებით და მიხარული გალობა გაისმოდა ფრინველებისა, მაშინ უფრო დაღონებულად ჰკარძნობდა იგი თავის თავს; ვიდრე ეხლა. გამხიარულებული ბუნება მას არ ახარებდა, არამედ უფროც უცხოველებდა მწუხარებას დაკარგული ბედნიერებისას.

„ყრმა ანატოლი 12 წლისა“. „ქალწული ანასტასია 16 წლისა“, ცოტა კიდევ ქვემოთ: „უფლო იესო ქრისტე! განუხუნე სულთა მონათა შენთასა“. აი რა ეწერა ამ მარმარილოს ფიკრებზე. ამ მოკლე სიტყვებში რამდენი გულის გამამირავი მწუხარება იხადებოდა!

მთელი ცხოვრება მამა ოლიმპისა დაუსრულებული განსაცდელი და მწუხარება იყო; ათასში ერთხელ თუ ხვდებოდა მას ბედნიერი დღე, ისიც „შეუღლოთ“, როგორც თვითონ იტყვად ხოლმე იგი, რადგანაც თითოეული ბედნიერი წუთისათვის მიუღლიწლოებით მწუხარება უნდა განეცადა. დაობლდა რა ბატარაობაშივე, იგი აღიზარდა სახელმწიფო ხარჯზედ და არაფერი იტოვდა რა მოფერებისა; ბედმა გაუღიმა მას მხოლოდ მაშინ, როდესაც მან სემინარია ჩინებულად დაასრულა, ახალგაზდა ქალზე გვიარი დაიწერა და სოფელში მღვდლობის ადგილი მიიღო. როგორის აღფრთოვანებით და იმედებით შეუდგა მამა ოლიმპი თვის მოძღვრული მოვალეობის აღსრულებას! სიგრცელე სამწყსოისა, უმეტრება ხალხისა და სხვა მრავალ-გვარი დაბრკოლებანი მის ვერ აშინებდნენ, პირიქით, ეს დაბრკოლებები უფროც აღძრავდნენ და აძლიერებდ-

*) თარგმანი.



ნენ მასში ენერჯიას, სამსახურის გარეშე, თავისუფალს დროს, იგი ანდომებდა სკოლის მოწყობას და მრევლთან გარეშე საუბრების გამართვას, რითაც იგი კიდევ უფრო უახლოვდებოდა ხალხს. ამ საქმეში დიდად შევლიდა მას მისი სამკურნალო ცოდნაც, სემინარაში ყოფნის დროს იგი დაინტერესებული იყო ამ საგნით, ახლა კი სხვა-და-სხვა სამკურნალო წიგნების კითხვით ავსებდა წინანდელს ცოდნას და ხშირად ხალხს სულიერ დახმარებასთან ერთად, ფიზიკურს დახმარებასაც აძლევდა. მრევლმაც დააფასა თვისი ღირსეული მოძღვარი და სულითა და გულით შეიყვარა იგი. მამა ოლიმპი მით უფრო ბედნიერად სთვლიდა თავის თავს მათ შორის, რომ თავის ახალგაზრდა მეუღლეს ხედავდა ბევრით, მხნე და ერთგულ თანაშემწედ ყოველთვის კეთილს საქმეში, რომელსაც სკოლის მართვის საქმე მიეღო თავის თავზე და ხშირად ავადმყურების მოვლასაც კი კისრულობდა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ასეთი ნეტარება და ბედნიერება მამა ოლიმპისა, ბედი უმზადებდა მას საშინელს უბედურებას. მეუღლე გარდაეცვალა მის პირველსავე მშობიარობის შემდეგ, დასტოვა რა პატარა ქალი; ამ შემთხვევის შემდეგ ჩქარა გადაიყვანეს იგი სხვა სამრევლოშიც, სადაც მართლად იღებდებოდა ერთად მწვალებლებიც სტოგრობდნენ. მეტად მძიმე იყო მამა ოლიმპისათვის მეუღლის დაკარგვა, სამძიმო იყო, აგრეთვე, შეჩვეული მრევლის მოშორება; მხოლოდ მისმა მხურვალე სასოებად და პატარა ასიამ, რომელზედაც გადიტანა მთელი სიყვარული თვისის დატანჯული გულითა, იხსნეს იგი დაღუპვისა და სასოწარკვეთილებისაგან. ამავე სიყვარულმა დედის მაგიერობა გააწვეინა თავის დაობლებულს ქალიშვილზე. მამის მზუნველობისა და მფარველობის ქვეშ, იგი თავისუფლად და უდარდელად იზრდებოდა, არც კი გრძნობდა თავის სიბოლეს. ცოცხალი სურათი თვისის გაასვენებულის დედისა, იგი იყო სიცოცხლე და სიხარული თავის მამისათვის, ახალს მრევლს ჩქარა შეეჩვია მამა ოლიმპი; თვისის ჭკუისა და მოქ-

მედების წყალობით მან ჩქარა დაიმსახურა სიყვარული და თანაგრძნობა არა მარტო მართლმადიდებელთა შორის, არამედ მწვალებელთა შორისაც, რომლებიც მეტად აფასებდნენ მას კარგი სამსახურისა და სამაგალითო ცხოვრებისათვის, ხშირად ესწრებოდნენ მის საუბრებს და ბევრი მათგან, მამა ოლიმპის მეცადინეობით, კიდევ დაუბრუნდა მართლმადიდებელს ეკლესიას. ამ უკნასწნელს გარემოებას მთავრობამაც მიიქცია ყურადღება და მამა ოლიმპი, მიუხედავად მისი ახალგაზრდა მსახურისა, ბლავილინად დანიშნა.

ახალმა თანამებობამ, როგორც ხშირად ხდება, თან მოუტანა მამა ოლიმპის ახალი უსიამოვნება, რადგანაც მას არ გამოეპარა შეუმწინეველად არც ერთი ბოროტმოქმედება, არც ერთი უსამართლოება, მაგრამ ეს არ აშინებდა მას, ვინაიდან სიყვარული და განწყობილება მრევლთან, თავდადებული სამსახური სამწყსოსა ზღამი და მისი ძვირფასი ასია აკმაყოფილებდნენ და ამხიარულებდნენ მის გულს და რაც მისი ასია თანდათან იზრდებოდა, მით უფრო ბედნიერად სთვლიდა მამა ოლიმპი თავის თავს. სამწუხაროდ ეს ძვირფასი ყვავილი იფუჭებოდა თუმცე არა თვისის მამის სახელდნეობად და საკეთილდღეოდ, სხვისმა უწყალო ხელმა მოსწყვიტა იგი... ასია გახდა თუ არა 17 წლის, დაუახლოვდა ერთს აფიციერს და იცოდა, რომ თვისი მამისაგან ამ ჯვარისწერის შესახებ ნებართვას ვერ ღიებდა, მიატოვა მამის ოჯახი და მამის უნებურად გაჰყვა მას.

მწელი ასაწერია, რას ჭგრძნობდა საცოდავი მამა, როდესაც მეორე დიღას იგი შევიდა თავის ქალიშვილის ოთახში და ის იქ აღარ დახვდა; სტოლოზედ პატარა ქიღალღი იდგვა, რომელშიაც ასია მამას სთხოვდა არ დაეწყევლა და არ ეძებნა იგი, ვინაიდან მისი დაბრუნება თავის მამის ოჯახში შეუძლებელი და უღირსიც იყო. ამ მშვიდმა, უწყინარმა, ადამიანმა, ამ ღირსეულმა მოძღვარმა, მთელს თავის სიცოცხლეში მშვიდობისა, სიყვარულისა და მტკეცების მქადაგებელმა საშინელი წა-



მები განიცადა. მის შეწუხებას საზღვარი არა ჰქონდა, მისმა სუსტმა ავტუტულამ ვერ აიტანა ეს სამწუხარო შემთხვევა და ელოგინად ჩაფარდა იგი, ათი დღის განმავლობაში ბეწვზედ ეკიდა მისი სიცოცხლე; სამი კვირის შემდეგ საწოლიდან წამოდგა იგი, მაგრამ ძნელია საცნობი იყო, 40 წლის მოძღვარი—მოხუცებული და ამსვავსებოდა. გაიარა დრომ, მამა ოლიმპის თავის ქალიშვილი თითქო აღარც კი ახსოვდა, დავიწყებოდა, მის შესახებ აღაფრეს ამბობდა, მხოლოდ და მოხუცი იაკობი, მსახური ეკლესიის ამბობდა, რომ მოძღვარი განაპირა ოთახში, სადაც მისი ქალიშვილი სტოგრობდა, ხშირად საიდუმლოდ ხატის წინ სანთელს ანთებს და ფარდა ჩამოშვებულს ფანჯარაში რომ შეიხედო, დანახავ, რომ დაოქილი და თვალტრემლიანი თავის ქალიშვილს ღმერთს ავედრებს ხოლმეო.

II

გავიდა ოთხი წელიწადი და მამა ოლიმპის თავის ქალიშვილის შესახებ აღრაფერი გაუგია; ერთხელ, როდესაც იგი ეკლესიიდან გამოდიოდა, შეცრად გადასცეს მას ტელეგრაფი, წაიკითხა რა იგი, საოცრად გაფიქრდა, შეშფოთდა და შეწუხებულმა გულზე წაიგლო ხელი. იმავე დღეს მან ჩააბარა თავის ეკლესია მეზობელ მღვდელს, გაემგზავრა და დაიბარა ერთი კვირის შემდეგ დაბრუნება. ბევრი მოთქმა-მოთქმა იყო მისი ასე საჩქარო წასვლის შესახებ, მაგრამ როდესაც მამა ოლიმპი ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა უკან ორი პატარა ბავშვით, სამი წლის ასიათი, მისი ქალიშვილის ასიას ცოცხალი სურათით ორი წლის პატარა შავ-თვალა ვაჟით და ღვთის მსახურების დროს ღმერთს შეევედრა „ახლად გარდაცვალებულის ანასტასიას სულის განსვენებისათვის“, მაშინ ყველა მიხვდა, რომ იგი იყო წასული თავისი ქალიშვილის უკანასკნელი ვალის შესასრულებლად და ეს ბავშვები—იყვნენ მისი შვილიშვილები.

მოიყვანა რა შვილიშვილები, მამა ოლიმპი ისევ გამოცოცხლდა; ამ პატარა არსებებმა ისევ დაუბრუნეს მას ენერჯია და სიყვარული

სიცოცხლისადაც. მათ მოსაველეოდ მან მოიწვია თავისი ქვირივი და და მისი მიხედვით რაც ისინი იზრდებოდნენ, მისი დაკოდილი და დაჩაგრული გული ისევ ცოცხლდებოდა ახალი ცხოვრებისათვის, ახალი ოჯახური სიხარულისათვის. განსაკუთრებით, მეტად უყვარდა მას პატარა ქალიშვილი, რომელიც ცოცხლად აფონებდა მას დაკარგულს მეუღლესა და შვილს. როდესაც იგი მოეფერებოდა მას და ბავშვიც მოეხვევოდა ხოლმე მას კისერზედ თავისი თითო ხელებით, მამა ოლიმპი გრძობდა ისეთს ბედნიერებას, რომ ყოველივე წარსული მას ეჩვენებოდა მიმე სიზმრად, რადგანაც ეს პატარა არსებები შეადგენდნენ ყველა მის მომავალს ბედნიერებას. როდესაც ბავშვები იმდენად წამოიზარდნენ, რომ როდესაც დადგა მათი სსწავლებელში მიცემისა, მამა ოლიმპიმ ტონია წაიყვანა სემინარიაში, ქალიშვილი კი ვერ მოიცილა, ვინაიდან მისი მოცილება მისთვის სიცოცხლესთან გაყრა იყო, საქმელი იყო აგრეთვე, სუსტი ქალიშვილისათვისაც თავის ბაბუის, ვამბუდლის, მსწავლებლისა და მეგობრის მოცილ ბა. მრევლში რომ გავიღოდა, მამა ოლიმპი მუდამ მასზედ ფიქრობდა, ზრუნავდა, სწუხდა და არას დროს უმისოდ თავისუფლად და დამშვიდებულად თავს ვერ გრძობდა. მამა ოლიმპის სწორედ ის ემართებოდა, რაც ემართება ხოლმე ზოგიერთ შემთხვევაში სულით ავდამყოფებს, რომელთაც როცა დროა გამოშვებით რაიმე ბედნიერება ეწვევა რაღაც შოშის გრძობენ, რომ ის ბედნიერება ისევ არ დაჰკარგონ...

სამწუხაროდ ეს შიში მამა ოლიმპისა, რომლისათვის იგი თავის თავს ხშირად ამტყუნებდა და ყსაყვედურებოდა, უაფუძლო არ გამოდგა და საოცარი სისწორითა და სინამდვილით შესრულდა მასზედ. ექვსი თვის წინა დროს, სახელდობრ ბზობის წინა შაბათს, მთელი პატარა ოჯახი მამა ოლიმპისა დაბრუნდა რა მწუხარის ლოკვის შემდეგ ეკლესიიდან, სტოლს შემოაუსხდა ჩაის დასალევად. ასია და ტონია, რომელიც ამ დღეს სასწავლებლიდან



მოსულიყო, საუცხოვო და სამხიარულო პლანებს აწყობდნენ მომავალ ბრწყინვალე დღესასწაულებზე. მაშა ოლიმპი დიდი სამოგენებთან და კმაყოფილებით უსმენდა მათ, იღუმებოდა და თანმდებოდა ყველა მათ წინადადებებზე. შემოსულმა იაკობმა, ეკლესიის მსახურმა, შეაწყვეტინა მათ მშვიდობიანი და მყუდრო საუბარი.

— მამო, — სთქვა მან, — თქვენ გზობებენ.

— ვისთან? საზიარებლად? — ჰკითხა მამა ოლიმპი.

— არა, მამო, მხოლოდ ავადმყოფების სანახავად. მოხუცი ანტონის ქვრივს მეგრას, რომელიც სოფლის ბოლოში ცხავარობს ორი ბავშვი გახდომია ციებით ავად. აი მან მოირბინა ჩემთან და თვალ-კრემლიანი მთხვავს: „კითხვებე მოძღვარს; ავადმყოფები მინახოსო.“

— შენ არ იცი რითი არიან ისინი ავად?

— ყელის ტკივილით მამო, სული ცხუთებათო სთქვა მან.

„ყელ-ქიჯება!“ გაუღელვა თავში მწარე ფიქრმა მამა ოლიმპის და შიშით გადახედა თავის შვილიშვილებს.

— ექიმი მოეყვანა, არ ერჩია, უთხრა მან იაკობს.

— ყოფილა ექიმთან, მაგრამ შინ არ დახვედრია, სხვაგან წასულა, უთქვამსთ სიღამოს დაბრუნდებო.

ცოტა ყოყმანის შემდეგ მამა ოლიმპი წამოდგა.

— საქმეს აღარა გაეწყობა-რა, უნდა წავიდევო, სთქვა მან, მხოლოდ თქვენ ნუ მიყურებთ, უთხრა შვილიშვილებს, უჩემოდ დაწეკით დასაძინებლად და მეც ჩქარა დავბრუნდებო.

მამა ოლიმპი არ შეცდა, ბავშვებს მძიმე ყელის ტკივილი აღმოაჩნდათ... მღვდელმა დაპყრო მათთან სამ საათამდე და შემდეგ დაბრუნდა შინ, თუმცა დაღლილი და დაქანტული, მაგრამ მაგიერად შესრულებული მოვალეობათ ნასიამოვნები და კმაყოფილი. მას ამინებ-

და მხოლოდ ის გარემოება, რომ გადამდები სენი არ შეეტანა შინ. მეტად ფრთხილობდა იგი, პირდაპირ სახლში არ შევიდა, პირველად სარაიაში გაიარა-გამოიარა, სდაც ზედა ჩასცემული ტანისამოსი დატოვა და შემდეგ მოფრთხილებით სახლში შევიდა, ცდილობდა რომ ბავშვები არ გაეღვიძებინა. მაგრამ მის შიშს საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც გაალორა ოთახის კარები, დანახა ტახტიდან წამომდგარი ქალიშვილი, რომელიც მას უტყუარად კისერზედ მოგებდა და რომლის გავრთხილებაც კი ვეღარ მოასწრო.

— ბავშვო, ბავშვო! რას ჩადიხარ! — შეგყვირა მამა ოლიმპიმ და ცდილობდა მის მოცილებას.

— მე ხომ ყელ-ქირვებიან ავადმყოფებიდან მოვდივარ, შეიძლება გადავფელს.

მაგრამ ქალიშვილმა იგი დაააშვიდა და უთხრა, რომ მას სენის გადაღებისა არა სწამდა რა.

— მე გიცდილი შენ, — დაუმატა მან, — არ მინდოდა ისე დამეინა, რომ შენ არ გამოგმშვიდებოდი.

გავიდა ერთი კვირა, დადგა დიდი შაბათი, ცისკრის ლოცვამდის ორი საათი-დადარჩენილიყო. მამა ოლიმპი იდგა ტახტის წინ, რომელზედაც ესვენა იმ წამში გარდაცვლილი ასია, ხოლო მეორე ოთახში სტოლზე ესვენა ტონია, რომელიც იმავე დამეს მიცვლილიყო. მამა ოლიმპი აღარ სტიროდა, აღარ იყვედრებოდა, სასოწარკვეთილებებში აღარ ვარდებოდა. პირიქით იგი მხებულულებით სრულიად დამშვიდებულყო იყო, თვითონ დაუხუჯა თვალები შვილიშვილებს, თვითონ ჩააცვა მათ ტანისამოსი და დაასვენა ივანი სტოლზედ, მაგრამ ამ დამშვიდებაში დიდი აღშფოთება იხატებოდა. ღრმა მორწმუნე ქრისტიანი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ ასეთი დიდი მწუხარება განეცადა და იმავე დროს ღვთის განცებას ასეთის მოთმინებით დამორჩილებოდა. იმას არ შეეძლო გაეგო, რატომ ეს ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე არსებანი ციეს სამარეში უნდა ჩა-



სულიყენენ და ის ფეთონ ასეთი დადლილი, დაქანცული, დაჩაგრული და დასვენების მოსურნე კი ცოცხალი უნდა ყოფილიყა? საიდან უნდა მოეკრიბა მას ამისათვის ამოდენი ძალ-ღონე?

მღ. სერგე მატარაშვილი.

უკანასკნელი პასუხი ბ. „Eanius“-ს

ღღემდის ვფიქრობდი, რომ თქვენ, მამაო „უფანიუს“-ო, გამოიჩენდით მოქალაქობრივ გზადღულობას და გამოაცხადებდით საქვეყნოდ გაზეთის ფუნტლებზედ თქვენს ვინაობას, როგორც არის ჩემი მოთხოვნები და როგორც შემოდებულთა საზოგადოთ სამედიატორო გასამართლების დროს, ამის გამო მე აღარ მოგვციოთ პასუხი, არც თქვენ და არც მამა რედაქტორს, მაგრამ თქვენ, თვითონ მართლა თქვენი სიტყვების არ იყოს, „უწინეთა და კირვეული ბავშვის არაკ ასრულებთ“, მაინც თქვენსას გაიძახით და „შინაური საქმეების“ მე-30 ნომერში ქუთაზელ მარიგებთ, რაიცა თქვენის მხრით უბრალო წყლის ნაყვა გამოდის, რა საქირთა ამდენი ლაპარაკი, ვინც ბრძანდებით კარგათ გიცნობთ, მაგრამ მე არ მაქვს უფლება გამოვამეტადნო თქვენი ვინაობა, რადგან ეს ერთ გვარი ჯაშუშობა იქნება ჩემის მხრით და მაშინ მეტ აურ ზაურს ასტეხთ, რა საკალრისია ხან რედაქტორის უკან ამოფარება, ხან ცრუ უფანიუს“-ების წამოყენება, თვითონ თქვენ აქიანურებთ ამ გარამოგებით საქმეს და მე კი ბრალს მდებთ, ვითომ მე უნდა ვიყვე მიზეზი საქმის ვაგებთ დილისა. უმჯობესია იახლოთ პირ-ბადე და გამოაუქარათ თქვენი ვინაობა, რითაც საქმე მღღე დასრულდება, ნუ თუ ასეთი გარამოგებით მიპირებთ მოტყუილებას? „უფანიუს“-ი იგივე რედაქტორი კი არ ბრძანდება, არამედ ერთი ის მოძღვართანია, რომელსაც არჩევნების დროს ერთად სხვებთან და ჩემთან ყუთი ედვა, მაგრამ გაშავდა, ია რა აწუხებს მის და რამ გამოიწვიოს ის, რომ ჩემსკენ გამოილაქრა, აყვიროდ „ი ვითომდა მე სემენარიელი როგორ გავშავდი და

ნიკოლაძე კი გათვარდაო“. რა მოხდა ნეტავი ასეთი არა ჩვეულ ბრძივი მოვლენა? ნუთუ ვინც სემენარიელი არ არის ის მღღედილი არაა? რამდენია „შინაური განათლების პირი, რომ თავისი ერთგული სამსახურით „ღიბლომიანის“ ალაგი უჭირავს? თქვენს პასუხში იმიერებთ „ამ შემთხვევაში გებრძვით არა პირადათ თქვენ, არამედ იმ სენს, რომელმაც, არჩევითი წესის შემოდების შემდეგ, დიბუდა სამღღედლოება-შიო და სხვა“, თუ ასეთი მიზანი გქონდათ რადა მე ამომიღეთ ნიშანში? ნუ თუ სხვაგან არ მომხდარა არჩენები? გეტყვით საზოგადოთ „თუ ჩვენს ებარქაში არჩვენების დროს ასეთი და ასეთი უწესობა ხდება თქო“. მაგრამ სულ სხვა მიზანს ვხედავ აქ. რა გავწყობა, ცხოვრება ბრძოლაა, არ დადებრავ ჩემს მოპირდაპირებს, დღევანდელ წეს-წყობილებასში ასეთ შემოდებულთ, ყველა ცდილობს თავისთვის და ყველას უნდა თავისი „მე“ გაიტანოს. დასასრულ უკანასკნელად გიცხადებ, მე გამოგვიწვი თქვენ სამედიატორო სამართალშიდ და დღესაც გიწვევ, მე მზად ვარ მედიატორები მოგცეთ და გავსამართლეთ მაშინ, როდესაც თქვენ თქვენა ვინაობას სამართლის დაწყებად გავზეთის ფურტლებზედ გამოაცხადებთ.

მღვდელი აეროთეოს ნიკოლაძე.

ღია წერილი მ. ი. ნიკოლაძისადმი.

აღარ მოგეწყინა, მკითხველო? უცქვლია მოგწყინდა და მოგებრდა ჩემი და მ. ნიკოლაძის ამდენი მიწერ-მოწერა და პასუხები, მაგრამ რას იზამ? უცქველად იძულებული ხარ ბოლომდი მოგვისმინო. ჩემს უკანასკნელ წერილზე მ. ი. ნიკოლაძემ „უკანასკნელი პასუხით“ გავცვა პასუხი და მართლაც და „კირვეული ბავშვივით“ მოგვთხოვა წინდაწინ ფსკედონისის გამომეტადნება. ვაქაყოფილებთ მის უკანასკნელ სურვილსაც, რომ კიდევ სხვა რაიმე არ მომიზღუოს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი მედიატორებს ახლავდ დანი-



შნაც და კიდევ პასუხების წერას არ მიყოფს ხელს. ხოლო რაც შეეხება მ. ნიკოლაძის მოთხოვნები კანონიერებას და საფუძვლიანობას, ეს მოკბეულმა საგო. ჩვენ კი არ შევვიძლია არ აღვნიშნოთ გულაშფოთებით ერთი ვარაუდია, რომელსაც უტყვევლია მკითხველიც მიაქცევს ყურადღებას როცა წაიკითხავს ამავ ნომერში დაბეჭდილს მ. ნიკოლაძის „უკანასკნელს პასუხს“. იგი რიხიანა და გაუწითლებლად ბძანებს: „ჩვენც ბრძანდებით კარგად გიცნობთ, მაგრამ...“ მე მიინც ასე მსურს და ჩემს სურვილს უნდა დავმორჩილოო. ეს მეტის მეტი თავებლობაა, რომ მეტი არა უნდაქვალთ, მაგრამ რას იზამ? ხომ მოგსახსენებთ ჭინჭყლიანი ადამიანის ამბავი. დიხ არც ამაში გაგტყბთ ხათრს და მოგახსენებთ, რომ მე ერთი იმ მოძღვართაგანი ვახლავარ, რომ მსაც ყუთი მედღა თქვენთან და სხვებთან, როგორც გკოდნით კიდევ, მაგრამ მე სრულებით ის არ მალაპარაკებს და მაწუხებს, რასაც თქვენ ფიქრობთ. წინა წერილებშიდაც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, რომ აქ საინტერესო და საგულუბნისმო სრულებით ის არ არის, თუ ვინ გაშავდა და ან ვინ გათეთრდა. აქ საქმეზოლოდ იმაშია, თუ ვინ რა გზით და საშუალებით გათეთრდა, თუ გაშავდა. თქვენ რომ გათეთრდით, ეს ხომ ახალი ამბავი არ არის? ცამ იცის და ქვეყანამ, რომ მ. ნიკოლაძე გათეთრდა და სხვები კი დაშავდით. მხოლოდ ჩვენ გვინდა შევიტყოთ ახლა თქვენი გათეთრება კანონიერის საშუალებით მოხდა, თუ ადგილი ჰქონდა რაიმე უკანონობას? ამასთანავე თქვენ თქვენს პატიოსნებით, ნამსახურობით და კეთილი ცხოვრებით დაიმსახურეთ ხალხის ყურადღება, თუ სხვა რაიმე მიზეზით? ეს ჩვენთვის ძლიერ საჭიროა და ჩემთვის პირადად მეტის მეტად. იმე მინდა ვიცოდე ჩემდა საგულუბნისმოდ, რა ნაკულულებებმა მაქვს რომ სამერმოსოდ შევივსო და თქვენი მაგალითი ვაკეთოლად შექნეს. ვაღმობაზუნეთ ის ჯვარი, რომელიც გულზე გკიდიათ და წაიკითხეთ, იქ ასე სწერია: „ახსნელ ქვეშ მოარწმუნეთა მათ სიტყვით, ცხოვრებით, სიყვარულით, სულით, სარ-

წმუნობით, სიწმინდით“. იქნება თქვენა მაგალითი სარკედ გამოგვადგეს და ამას ნუ დავაშაღლით, ვითარცა მოძღვარი. მაშ ასე, დავიწყეთ და გავათათ ბარემ, თორემ მკითხველებსაც მოეწყინათ ამდენი ლოდინი.

დავშთებთ თქვენი კარგად ცნობილი «ფანჯუსი»-ი, იგივე ბღ., მღვდელი ი. ფანჯგა.

წაღმა-უკულმა.)

VII.

კოლია კარგად გრძნობდა, რომ ღიზას ის არ უყვარდა. იცოდა აგრეთვე ღიზა და ვანოსი განწყობილების ამბავიც, მაგრამ არც ერთზე მას გული არ სტკივდა. არც თვითონ უყვარდა მას კოლი და არ უყვარდა იმიტომ, რომ არ შეეძლო სიყვარულია გრძნობა და ნიჭი სიყვარულისა აღრიდან გაპარვოდა მის გულს. კოლის უხასიათობა არც სწყენოდა და არც უხაროდა კოლიას; ეს, შემთხვევითი უბრალო მოვლენად მიანდა და არც არავითარ ყურადღებას აქცევდა ამას. ასეთს შეხედულებას კოლიასას, ზოგი სხვა მიზეზს აწერდა და ზოგი სხვას, მაგრამ უფრო ის იყო მიზეზი, რომ კოლია არ სთხოვდა სიყვარულს იმ ადამიანს, რომლისადმი ის თვითონ არ გრძნობდა სიყვარულს და ამის გამო კოლია არ თხოულობდა და ღიზა არ აძლევდა კოლიას, თავის ნამოქმედარის ანგარიშს. კოლია ვერ მიმხვდაროყო, რომ ასეთს უსიყვარულობას, თან სდევს გულ-გრილობა, ამას სიმძულელი და სიძულვილს კი, ასე თუ ისე, განშორება... ეს არ შეადგენდა კოლიას საფიქრებელს მისი მიზანი, ჯერ კოლის შერთვამოსაც, მხოთვე, ფული და ქონება იყო, რასაც, კარგად ძილს ჩავლო მან ხელი... იორადანეს ქონება თავის საკუთრებად არ მიანდა მას, სანამ თავის სახელი არ დაეჭმევიოდა და ამიტომ იხმარა ხერხი: ქუთათელი სახლები და უნახსტები ერთბაშად გააყიდა, აიღო ფული



ბი თვითონ და ამით ახალი სახლები და „უჩასტკები“ შეიძინა ქალაქ № ში თავის სახელზე. დასტოვა იორდანე ერთი დუქნის ამარა ქუთაისში და სოფლის მამულის იმედით, რაშიდაც კოლია სახარბიელოს არასფერს ხედავდა. ამით კოლიამ თავის საწადელი შეისრულა და იმის ცოლის შერთვის ანგარიშიც ეს იყო.. რა კი კოლია ყოველგვარ თავისუფლებას აძლევდა ცოლს, მას ვერ წარმოედგინა, რომ ცოლი მას გაიმეტებდა, რაც სრული თავის მოტყუება იყო კოლიას მხრით მას შემდეგ, რაც მან ლიზა ხელ-მეორეთ გარაქმნა; ის ვერ მისულიყო იმ დასკვნამდის, რომ ის ასაფეთქებელი მანქანა, რომელიც მან სახლში შემოიტანა, ერთნაირად საშიში იყო, როგორც მტრისთვის, აგრეთვე მოყვრისთვის, როგორც გარეშისთვის, იმგვარადვე, შინ-მყოფათათვისაც; მას არ შერჩენოდა იმდენი მინც უზარს მჭერტელობა, რომ ის ბასრი დანა, რომელიც ლიზას ჩაუდგა უბეში, მტერსაც მოჰკლავდა და მოყვარესაც.

ერთს შევნიერდით დილის მართლაც დატრიალებულყო კოლიას სახლში ცოლდა. კოლია სულთ-მოზრდავი ეგდო ლოგინზე და რავდენიმე ექიმები მზრუნველობით დასტრიალებდნ თავზე. ლიზა, ლოყა გასისხლიანებული, მეორე ოთახში წიოდა. სახლი მნახველებით გავსილიყო. კოლია ბღავოდა: „მომწამლეს, მომწამლეს.. ლიზა მომიყვანეთ.. მიჩვენეთ.. მასაც ამოვთხრი სულს.. სად არის.. მიჩვენეთო..“ მაგრამ ლიზა არავის მოჰყავდა და არც თვითონ მიდიოდა. როცა კოლიას, მის თავზე უბედურობა შეეტყუა, ექვი ლიზაზე მიეტანა, მოედო ქვეშ და ექვი არ იყო, რომ არც იმას ასტებოდა კოლიას ხელით სიკვდილი, რომ ლიზას კივილზე პოლიციელებს არ შემოერბინათ და არ გაეშველებიათ. ლიზას პოლიციელები სდარაჯობდნ... უკანასკნელ წამზე, მღვდელიც დაბარეს. კოლიამ რომ მღვდელი დანიხა შეკრთა და ისე უწბდა. „რა გნებაეს მამაო?“—შეეკითხა ის. „მინდა, შევიღო, აღსარება სთქვა და ზიარება მიიღო.“ უბასუხა მღვდელმა. კოლიას, ერთ წამს დიდი მრის-

ხანება გამოეხატა სახზე, იქნება გაუღელვა გულში: „რის აღსარება მღვდლო, რის ზიარება, რას მიქარავო!“ მაგრამ სუბე სახედაუამდა და დამშვიდებულის ხმით უთხრა: „კი მამაო, ინებე რაც საჭიროა“. მღვდელმა მოსთხოვა დამწერებს, მარტო დეტოვებიათ ის ავადმყოფთან, მაგრამ ეს კოლიამ არ ინება, „ყველამ უყუროს, მამაო,—სთქვა მან და განაგრძო:—შე არ მწამდა ღმერთი, არ მწამდა არაფელი უხილავი და თურმე ყოფილა ღმერთი; ღმერთმა ის მომაგო, რისიც ღირსი ვიყავი.. ვხედავ, მამაო, რომ დიდი ყოფილა მოთმინება ღვთისა... ცოდილი ვარ მამაო... ღირსი ვარ, მამაო, ამ სასჯელისა.. თუ შეიძლება ჩემისთანა ადამიანის სულისთვის ილოცოს კაცმა, ილოცე, მამაო, ჩემთვის.. მრწამს ღმერთო.“—სთქვა მან და მოწიწებით დაიწერა პირჯვარი. აღსარებას უყურებდა ლიზაც მან ყურადღებით მოისმინა ყველაფერი, წაუვიდა გული, იწვილა ერთი და გაგორდა იატაკზე. ლიზა გაათრის და მოასულიერეს, მაგრამ გაუცებრად დარჩა, რა იყო მიზეზი ლიზას უტყარი თავ-ზარდაცემისა? იქნება ის, რომ ლიზა უკანასკნელად ეთხოვებოდა ქმარს? არა, ეს არ იყო. მას ახლა სულ სხვა-რამე წარმოუდგა: კოლიას პირიდან მას ყოველთვის უღმრთოება ესმოდა, რაც თვითონაც ბეჯითად შეიფიქსა, გადაუდგა ღმერთს, ხელი მიჰყო ბოროტებს და ბოლოს იმდენათ სძლია ეშაკმა, რომ ჩადენია ქმრის მიწამლევა. ახლა კი იმავე კოლიას უყურებდა და ესმოდა მისგან, რომ არის ღმერთი.. რწამს ღმერთი და სხ. რამაც ლიზას მოაგონა მთელი განელილი ცხოვრება; ერთბაშად წარმოუდგა მომავალიც, მიგნებდა თვალები და წაიქცა..

ცოტა კიდევ და კოლიამ საუკუნოდ დატეხუა თვალები. მიცვალებულის გვამის გაქრამ აღმოაჩინა უტყუარი ნიშნები მოწამლისა და ლიზაც შეიპყრეს.

კირილე წუთისოდელი.
 შემდეგი იქნება.

ორიოდე სიტუაცია სამდღელოების შესახებ.

„შენაწერი საქმეები“ მე-19 და მე-27 ნომერსად მოთავსებული სტატიები შესახებ შემცოდ სამდღელოების მხლებსა და მათი გასწორებისა თანამოქმეთაჲან კერძოთ და სამდღელოების კრებებზედ წვაიკოთხე. პატივე-მული ავტორი სრულიად მართალს ამბობს, რომ დღეს დიდათ საქიროა სამდღელოებამ მკაცრი ყურადღება მიაქციოს კული ჩვეულებების მექონე თანამებებს და ამხლოს მათი ცუდი საქციელი და გასწორების მათი შეტომლი ცხოვრება, ამ ზრუნვით და აშვალებით სამდღელოება თავის თავსაც დიაცავს საზოგადოების კულის შეხედულებისაჲან და თავის შემოდე მებესაც იხსნის სულიერის და ხორციელის სიკულისა და დაღუპვისაჲან, რომელიც მოელის მათი კული საქციელის გამო. დღეს მთელი სამდღელოება განუკითხავად და განურჩევლად იკიცხება დი ილანძლება, სახელი უტულება, ჩირქი ეცხება და ხალხის თვალსა სრულიად მდაბლდება რომელიმე უზნეო სამდღელო პირის კული ყოფაქცევით და რატომ არ უნდა მიაქციოს ყურადღება და იზრუნოს სამდღელოებამ, ამხილოთ და გაასწოროს მათი უზრალო ჩირქის მცხებელი თანამომენი? ესეც რომ არ იყოს ყველას უნდა აწუხებდეს ერთმანეთს კული და ყველას უნდა ახარებდეს და ასიამოვნებდეს ერთმანეთის კარგი, როგორც თავის თავისა. კაცის ბუნება და ცხოვრება ისეთია, რომ თავის კოდვას და შეცთომას არაფრთა გამოქმეებს და ადვილათ შეუნდობს თავის თავს, იცის რომ სკოდავს, მაგრამ არაფრთა მოაწინა და როდესაც მას ამხილებენ და განიკითხავენ, მაშინ იგრძნობს და დააფასებს თავის უღირსებას და შეცოდებას. პირუთნებელი სისწორით მხილებას ასეთი ძალი და ღონე აქვს, რომ შემკოდეს სინანულში იაჯდებს და გასწორებებს და ავიწყებებს თავის ჩვეულებას. მეფე დავით წინასწარმეტყველს, რომელიც შთავარდა დინას კოდვას შინა, როდესაც გამოუჩნდა მას ნათან წინასწარმეტყველი და ამხილა შეცოდება, მაშინ

ძნო და მიეცა დიდ მწუხარებასა და შეინანა კოდვანი მისნი. ამისთანა მაგალითები სხვაც ბევრი არიან ცხოვრებაში. მე არ ვფიქრობ, რომ იმისთანა გულქვავეი კაცი იქნეს, რომ კრების მხილებამ არ შეაწუხოს, არ შეანანიოს და არ გაასწორებოს მისი კული საქციელი, თუ ერთისა და ორის მხილება მაზედ არ კმარა და არ იმოქმედებს. კული საქციელის მხილებაში არ უნდა მოერიდონ არავის, თუ მისთვის სიკეთე უნდათ, თუ გინდ პარველად დიდ საწყენათაც დაურჩეს მხილებულს და შეურაცყოფათაც მიიღოს და როდესაც საქმე გასწორდება და გაკეთდება, მაშინ იგი მადლობელი და კმაყოფილი დარჩება. მხილებით შემკოდეს კულს კი არ უშვებიათ, —სიკეთეს და ზედნიერებას აძლევენ. შეიძლება ვინმე სთქვას რა უფლება აქვს სამდღელოებას განიკითხოს შემკოდე სამდღელო პირი, იმას თავისი უფროსი ყავს პასუხის მომთხოვი. არა, თუ ასე იფიქრებს უზართლო იქნება, ერთი რომ უფლება ყველას აქვს კეთილი საქმის გაკეთებისა და ყველა დაავლებულია ღვთისაჲან ერთმანეთს შეეწიოს და ერთი ერთმანეთს კიარი და ღვთის იტვირთონ, მეორე ის, რომ შენ გამო რომ მეც უზრალად ვილანძებოდე და კული მებებოდეს—შენი კული საქციელით, მაშინ სწორეთ შენთან მაქვს საქმე და ამ შემთხვევაშიდ შენით უნდა დავიცო ჩემი თავი კულისაჲან. ასეა სამდღელოების საქმეც დღეს, რადგან ყველა ერთნაირად იკიცხება და ილანძლება ორი-სამი უჯგორო სამდღელო პირის გამო, ამიტომ ყველამ უნდა იზრუნოს და იმეცადინოს ვისგანაც სჭირს ამისთანა ცუდი იგი ამხილოს და გაასწორებოს მისი ცუდი ზნე და საქციელი, რომელიც ჩირქსა სცხებს მთელს სამდღელოებას, მთავრობა სამდღელოების გარემოებას ხშირად და ადვილად ვერ ტყობილობს და როდესაც შეიტყობს შემკოდეს მოელის პასუხის გება და სასჯელი, ის მაშინ უნდა მოხდეს, როცა მხილება და საშვლება არ იმოქმედებს შემკოდე პირზედ. დღეს იმისთანა დროა, რომ სულ მკვირე დანაშაულბანსაც ვერ უთმენს სამდღე-



ლოებას ხალხი და ამიტომ სამღვდლოებაც მღვიძარე და ფთხილად უნდა იყოს რომ არაფერი ცუდი შენიშვნა არ დაედვას, რადგან სამღვდლოების საქმე სულ სხვა არის... დღემდისაც, რომ ამ საშეაღებისათვის ხელი მოეციდა სამღვდლოებას და ეზრუნებია თანამეცხის ცუდი საქციელის გასასწორებლად, დარწმუნდით რომ სამღვდლოება გათავისუფლდებოდა ხალხის იმ გულგრილობისა და ცუდი შეხედულობისაგან, რომელიც დღეს სამღვდლოებას ადევს. დროა დღეს სამღვდლოება ერთი მეორეს ცუდ საქციელს ამხილებდნენ და მით გაასწორებდნენ თვით ისინი ერთმანეთს, თორემ მთლათ დაეცემა სამღვდლოების საქმე და ვარესი დაემართება რაც დღეს სჭირს და მაშინ სამსახურიც წახდება და სარწმუნოებაც კიდევ უფრო დაქინდება და დაეცემა. რასაკვირველია რომა მ. მ. ბლაღოჩინები და მოძღვართ მოძღვარი მეტი მოვალენი არიან, როგორც სამღვდლოების წარმომადგენელი იზრუნონ შემცოდევ სამღვდლოების გასწორებისათვის და იმედია რომ ასეთე მოიქცევიან.

ჭევიშკლა.

წერილი რედაქციის მიმართ.

მაშაო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს მკირედი ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „შინაურ საქმეებში“. ყ.-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისაგან მოწერილობა მივიღეთ შეგვეგვროვებია ფული ალაგირში გადასახლებულ რაჭველების სასარგებლოთ. სულ შეგროვდა ცამეტი მანეთი და 55 კაპეკი. აი სია შემომწირველთა: 1) გელათის მონასტერში: არქიმანდრიტმა ნიკიფორემ 60 კ., ილუმენმა სოფრონიმ 20 კ., ილუმენმა ანთიმოზმა 20 კ., ილუმენმა პაფნუტიმ 20 კ., მღვდლომონაზონმა: მათემ 20 კ., ეპიფანემ 20 კ., სილოვანემ 20 კ., დოდომ 20 კ., ზენონმა 20 კ. და დოროთემ 20 კ. 2) მოწამეთას მონასტერში: არქიმანდრიტმა ნესტორმა ერთი მა-

ნეთი, ილუმენმა ევსევიმ 40 კ., მღვდლომონაზონებმა: ილარიონმა 40 კ., მეორე ილარიონმა 40 კ., კალსტრატემ 40 კ., იეროლიაკონმა დავითმა 20 კ. მორჩილებმა: მალაქია დვალმა 15 კ., იასონ მჭედლიძემ 10 კ., მწირბერმა შიომ 10 კ., ესტატე ომონაძემ 10 კ., კოსტანტინე ქუმბურაძემ 10 კ. 3) მღვიმეის დედათა მონასტერში: ილუმენია თეოდოსია 1 მანეთი, მღ. ვლადიმერ კაპანაძემ 50 კ., მონაზვნებმა: პარასკევამ 10 კ., თევლამ 15 კ., ქრისტინამ 25 კ., მეორე ქრისტინამ 25 კ., მარინემ 25 კ., მავრამ 20 კ., ეფროსინემ 10 კ.; 4) ჯრუპის მონასტერში: არქიმანდრიტმა გრიგორიმ 1 მანეთი, მღვდლომონაზვნებმა: სერაპიონმა 40 კ., იონამ 20 კ., ბენიამენმა 20 კ., სიმონმა 20 კ., დმიტრიმ 30 კ., დანიელმა 20 კ., იეროლიაკონმა დომენტიმ 20 კ., მორჩილმა იაკინთე იაშვილმა 10 კ.; 5) კაცხის მღვდლომონაზონმა ლავრენტიმ 20 კ.; 6) ნამარნევის მონასტრიდან მივიღე ორი მანეთი; ხოლო რაქის მონასტრიდან—ე. ი. ქილიშის მონასტრიდან არავითარი შეწირულება არ მივიღე, თუმცა იქაც იყო მიწერილი შეწოდენ გაკირვებულ მოძმეებს და მათ მეზობლებს (რაჭველებს ალაგირში გადასახლებულთ) შეძლების დავგვარად. და სრულიად ცამეტი მანეთი და თერთმეტი შაური. შემომწირველთ მადლობას ვსწირავ, ხოლო ფული დანიშნულებისამებრ წარდგენილია.

იმერეთის ეპარქიის მონასტრების ბეჭდოვანი, მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი
არქიმანდრიტ ნესტორ.



რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მამდლიძე.**
 გამომცემელი, იოსებ ლევაშა.

ზ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი .

სტამბა „ურმა“

— დაბა შვირილაში —

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

ღებულობს ეოველგვარ სასტამბო საქმ.

გუბუღავთ: ბლანკებს, აფიშებს, კანცხადებებს, წიგნებს, ბროშურებს და ეოველგვარ მოსაწვევ წიგნებს: ქაბწინებისას, ნათვლისას, სმგლოვოაროსას და სხვ. აგრეთვე კონტო.

რებისთვის სასჯარბო წიგნებს და წიგნაკებს, კოტანტებს, იარღიკებს, სადარბაზო ბარათებს (გოზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლებლისათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმეებს გასრულებთ სუფთად და თავის დროზე მღიერ დაკლებულ ფასებში.

რამიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით პატრიცემულნი ზაკაზჩიკები.

ადრესი: ევირილა სტამბა „ურმა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Каврылы

სამხატვრო სახელოვნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ეოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევრს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახტების დირსებაზე და ზომასზე დამოკიდებული და ეოველ შემთხვევასი საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვის ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურიასამეგრელოს ენისკოპოსის ეოვლად საძღვდელო ლეონიდას ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „ზინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

ბ ა ნ ც ხ ა ლ მ ე ბ ა .

თბილისის და ქუთაისის წიგნის მდარსებებში და მოწამეთის მონასტერში იყიდება არსიანდრიტის ნესტორის მიერ შედგენილ-გამაცემული წიგნები სასულიერო შინაარსისა:

- 1) კაიფას ვეფი შვილი — 50 კ.
- 2) მესამე ოქრო — — — 5 კ.
- 3) გზა ცხოვრებისა — — — 30 კ.
- 4) ჰველ აღთქმის საღვთო ისტორია 50 კ.
- 5) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია 40 კ.
- 6) სიკვილიო მართლისა — — — 10 კ.
- 7) ერთი ღამე აქოდამაში — — — 5 კ.
- 8) არა კაც კლა — — — 5 კ.
- 9) კარგი ყველგა კარგია — 10 კ.
- 10) ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი 15 კ.
- 11) ცოლ-მშობა (საღვთო წერილიდან — — — — — 5 კ.
- 12) მამა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა — — — 10 კ.

სამკითხველოებს და სასოფლო მკოლეებს, როგორც სამრევლოს ისე საეროს, ნაღდ ფულზე ვინც გამოიწერს, ეველა წიგნებს დაუთმობ ნახევარ ფასად. სოლო წიგნის მდარსებებს, რომელიც ნაღდ ფულზე გამოიწერენ, დაუთმობ 30% ადრესი: **Черезь Кутаисъ въ Моцамети. Архимандриту Нестору.** ვინც ისურვებს ჩემკან ჰირდაზირ გამოიწერას, გსთხოვ ადრესი გარკვევით მიამწეროს.

„შინაური საქმიება“-ს რედაქციაში იყიდება:

კლირთვის უწვეებები ახალი ფორმისა და ეველა უწვეება (**ВЪДОМОСТИ**) წლიური საზღადრონინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „მშობის“ გამაცემა და ფულიც მას კუთვნის. ფასი ბლანკებისა — რწუკილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — 4 კაპ., ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: **Кутаисъ, Правленіе религиозно-просвѣтительнаго „братства“.**

Ольденбургская д. № 5.